




ხაშურის მთაშვე



№9 (40)

7 მარტი, ორშაბათი,

2016 წელი

105 წლის ქეთევან ღვდარიანი-ნოზაძე: ჩემზე მეტხანს იცოცხლეთ, შვილებო!

ღედის და ქალთა ღდესთან დაკავშირებით გაზეტი „ხაშურის მთაშვე“ ჩვენი რაიონის ყველაზე ხნდაზმულ ქალბატონს ქეთევან ღვდარიანი-ნოზაძეს ესტუმრა. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ჩვენი სტუმრობის ამბავი, რომ შეუტყვია, ძალიან გახარებულა, ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, შევეცადეთ ის სიტბო და სიხარული ერთბორად დაგვებრუნებინა მისთვის. ქალბატონმა ქეთევანმა



კი თავისი ცხოვრების განვლილ გზაზე მოკრძალებით მოგვიყვა: 1911 წელს ღავბადე ხარაგაულის რაიონ სოფელ ბახალეთში. იქვე მივიღე საშუალო განათლება. სკოლის დამთავრების შემდეგ გავიარე პედაგოგიური კურსები და მუშაობა დაიწყო დაწყებითი კლასის მასწავლებლად. ჩემი მომავალი მეუღლე აღიდან იყო, შესაბამისად, აღში გავაგრძელე პედაგოგად მუშაობა. ასე ვმუშაობდი ჯერ ხაშურის საბავშვო ბაღში აღმზრდელ-მასწავლებლად შემდეგ კი გორის საბავშვო ბაღში. უკვე 1952 წლიდან ხაშურის პირველ გიმნაზიში დაიწყო მუშაობა – 1961 წლამდე. მას შემდეგ პენსიონერი ვარ. მყავს ორი შვილი, უფროსი ვაჟი დამელუპა, შვილიშვილი, შვილთაშვილები და ყველაზე პატარა და საყვარელი შვილიშვილის შვილიშვილი – 4 თაობა.

ოჯახის წევრებისაგან შევიტყუე, რომ აღგილობრივი მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ყოველ წელს, ქალბატონი ქეთევანი ერთჯერად 500 ღარს იღებს დახმარების სახით, უკვე მესამე წელია. ორჯერ, ღედის ღდესთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციაც ესტუმრა ძღვენით და საჩუქრებით, იყვნენ ასევე გამგეობისა და კულტურის განყოფილების წარმომადგენლებიც. მისი თქმით, ასეთი ყურადღება და ღფასება ყოველთვის ახარებს.

წამოსვლისას ქალბატონი ქეთევანი გულბთლ დალოცვას არ იშურებდა, როგორც ჩვენ მიმართ ასევე ხაშურელი ქალებისა და ღედების მიმართ, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ღიღხანს სიცოცხლე და ბედნიერი ღედობა, საქართველოს კი – მშეიდობა.

განსაკუთრებულ ხასიათზე დაგვაყენა ამ სტუმრობამ, ვფიქრობდით, იმაზე თუ რამხელა გზა გავიარა ქალბატონა ქეთევანმა, პირველი შვილის პირველად ხელში დაჭერიდან შვილიშვილის შვილიშვილის პირველად ხელში დაჭერამდე, რამდენი ქარტეხილი გამოიარა, რამდენი ბედნიერი წუთი იყო მის ცხოვრებაში და რამდენი განსაცდელი, როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, „კალო არ მოლეწილა ჩემს თავზეო“, მაგრამ ის ღდეს ჩვენთანაა, როგორც გმირი ღედა, ბებია, ღიდი ბებია და, რაც უმთავრესია, გმირი ქალი, რომელიც ტკება თავისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობით.

მარტის თვე უდავოდ ქალების თვეა. 3 მარტი – ღედის ღდე საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა დააწესა, ზვიად გამსახურდიამ, რომლის გადაწვეტილება 1991 წელს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა. ქალთა საერთაშორისო ღდე 8 მარტი კი 1909 წლის 29 თებერვალს აღინიშნა ამერიკაში, მას შემდეგ ამ ღდის ტრადიციას თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს, მათ შორის საქართველოც. რედაქციის სახელით გილოცავთ ღედისა და ქალთა ღდეს. ღედებს ვისურვებთ შვილების კარგად ყოფნას, რადგანაც ღედა იმ შემთხვევაშია ბედნიერი თუ შვილს ჯანმრთელს და გახარებულს ხედავს. სხვა შემთხვევაში ყველაფერი აზრს კარგავს. ხაშურელ გოგონებს კი ვისურვებთ იმ უღიდეს მადლთან ზიარებას, რასაც ღედაშვილობის მადლი ჰქვია.



მიულოცეს ღედის ღდე

ღედის ღდესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, მერაბ მათიაშვილის სახელობის საავადმყოფოს ესტუმრა და პერსონალი ყვეალებით დაასაჩუქრა, ხოლო ახალგაზრდა ღედებს ყვეალებთან ერთად, ბავშვის მოვლის საშუალებები გადასცა.



საჩუქარი - რვაშვილიან ღედას

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძემ და საკრებულოს წევრმა ნოე ტაბატაძემ ღედის ღდე მიულოცეს ხაშურში მცხოვრებ მრავალშვილიან ღედას ილონა გოგელაშვილს. 35 წლის ილონა გოგელაშვილი, რომელიც აფხაზეთიდან ღვენილია, რვა შვილს უზრდის სამშობლოს. ღედის ღდესთან დაკავშირებით, იგი თითოეულ არასრულწლოვან შვილზე მუნიციპალიტეტისგან ფულად დახმარებასაც მიიღებს.

მსჯელობენ პრიორიტეტებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სოფლის კრებები მიმდინარეობს. ღდეს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ცხრამუხის მაჟორიტარი, ფრაქცია „ხაშურის აღორძინების“ თავმჯდომარე პაველ ღაცაბიძე და გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სერგო ღალიაშვილი ცხრამუხის აღმინისტრაციულ ერთეულში შემაგალი სოფლების მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია და გამოიკვეთა პრიორიტეტები. სოფლის კრებებზე თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს საკუთარი სოფლის განვითარების საქმეში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხა სოფლის პირველი რიგის საჭიროებების დასაფინანსებლად დაიხარჯება. პრიორიტეტებს კი თითოეულ სოფელში ხმათა უმრავლესობით თავად მოსახლეობა განსაზღვრავს. მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის 856 827 ღარია გამოყოფილი.



ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2015 წლის შემოსულობების და გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 9 285,2 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხებოდა 2 561,8 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან - 1 235,0 ათასი ლარი, საკუთარი სახსრებიდან - 1 326,8 ათასი ლარი, ხოლო გარდამავალმა საბრუნავმა სახსრებმა შეადგინა 57,7 ათასი ლარი.

2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტმა 19-ჯერ განიცადა ცვლილება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №62 დადგენილების შესაბამისად, დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობამ 16 476,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც 7 191,7 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2015 წლის შემოსულობების საკასო შესრულებამ 14 487,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 102,6%-ს შეადგენს, 2015 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ბიუჯეტებიდან მიღებულ გრანტებზე მოდის 72,2% (10 465,6 ათასი, (მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 6 246,7 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 4 008,8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 210,1 ათასი ლარი). გადასახადების ხვედრითი წილი მთლიან შემოსულობებში 10,7%-ია (1 554,3 ათასი ლარი), სხვა შემოსავლები - 15,8% (2 296,1 ათასი ლარი), ხოლო არაფინანსური აქტივების კლება შეადგენს 1,2% (171,2 ათასი ლარი). შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადების გეგმა შესრულდა - 103,6%-ით, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 94,2%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 122,4%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 105,8%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა - 122,6%-ით შესრულდა, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი - 110,8%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი შესრულდა 124,3%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 132,4%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 103,5%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 126,7%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან - 173,3%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობების იჯარიდან - 13,3%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება შესრულდა - 107,0%-ით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების საფუძველზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის“ მუნიციპალიტეტს გამოეყო 855,2 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად იქნა მიღებული, აქედან ათვისებულია 681,2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ისეთ ღონისძიებებს როგორცაა: გარე-განათების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, გზების რეაბილიტაცია, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ხიდების მოწყობა-რეაბილიტაცია, სარიტუალო სახლების მშენებლობა და აღჭურვა, სპორტული მოედნების მოწყობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის 39 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 443,0 ათასი ლარი, მიღებულ იქნა 2 347,2 ათასი ლარი, რაც მთლიანად იქნა ათვისებული (2 314,5 ათასი ლარი).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის 2529 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს გამოეყო

742,0 ათასი ლარი, მიღებულია 735,9 ათასი ლარი, ხოლო ათვისებულია - 455,3 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავების და მდინარე სურამულაზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 დეკემბრის №2796 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამოყოფილი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი და მიღებული იქნა 70,4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის ბოლოს (2016 წლის 1 იანვრისათვის) ნაშთის სახით ირიცხება 3 504,8 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან - 1 150,1 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრების გამოყენება, მიზნობრიობის გათვალისწინებით, შესულია 2016 წლის ბიუჯეტში.

2015 წლის ბიუჯეტის საკასო ხარჯებმა 13 601,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმის 82,6% შეადგენს (დაგეგმილთან შედარებით 2 875,0 ათასი ლარი). ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გასაწვეი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება შეადგენს: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების - 90,8%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 14,8%), თავდაცვა - 72,9%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,7%), საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 100,0%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 3,7%), ეკონომიკური საქმიანობა - 75,6%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -29,0%), გარემოს დაცვა - 78,7%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -6,9%), საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 80,1%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -11,0%), ჯანმრთელობის დაცვა - 94,7%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -0,8%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 93,8%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -11,5%), განათლება - 80,5%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -13,6%), სოციალური დაცვა - 86,1%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 7,8%).

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 96,4%-ით (დაგეგმილთან შედარებით 60,9 ათასი ლარით ნაკლები), სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები - 87,4%-ით (დაგეგმილთან შედარებით 149,1 ათასი ლარით ნაკლები), სუბსიდიები - 97,9%-ით (დაგეგმილთან შედარებით 82,7 ათასი ლარით ნაკლები), სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 89,8%-ით (დაგეგმილთან შედარებით 86,9 ათასი ლარით ნაკლები), სხვა ხარჯები - 61,6%-ით (დაგეგმილთან 511,1 ათასი ლარით ნაკლები), არაფინანსური აქტივების ზრდა - 71,2%-ით (დაგეგმილთან შედარებით 1 983,1 ათასი ლარით ნაკლები).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით, 2015 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ათვისებულია 2,9 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2015 წლის განმავლობაში სულ განხორციელებულია 285 შესყიდვა, რამაც გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შეადგინა 7 178,6 ათასი ლარი, ფაქტობრივად, გადახდილმა თანხამ კი შეადგინა 5 323, 8 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებები გაფორმებულია 2 003,4 ათასი ლარის შესყიდვაზე, ფაქტობრივად გადახდილმა თანხამ შეადგინა 1 395,2 ათასი ლარი.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 723,6 ათასი ლარის შესყიდვაზე, ფაქტობრივად გადახდილმა თანხამ შეადგინა 3 195,5 ათასი ლარი.

ელექტრონული ტენდერების საშუალებით ხელშეკრულებები გაფორმებულია 1 451,6 ათასი ლარის შესყიდვაზე, ფაქტობრივად გადახდილმა თანხამ შეადგინა 733,0 ათასი ლარი (დანართი 11)

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით განსახდურულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების საშუალება და შესაბამისად, ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

პირველნი „ვირიმ-კონგოს“ ინფექციის წინააღმდეგ

ვირიმ-კონგოს ვირუსი მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც პირველად აღმოაჩინეს 1944 წელს ვირიმში და მას ვირიმის ჰემორაგიული ცხელება უწოდეს. 1969 წელს, შემწიველ იქნა, რომ ვირიმის ჰემორაგიული ცხელების გამომწვევი პათოგენი, 1956 წელს კონგოში აღმოჩენილი დაავადების იდენტური იყო. ამ ორი ადგილის კავშირმა მოგვცა დაავადებისა და ვირუსის ამჟამინდელი სახელწოდება. ვირუსი უმთავრესად ადამიანს გადაეცემა ტკიპებისა და მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებისაგან. ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა შესაძლებელია ინფიცირებული პირის სისხლთან, გამოწყობისთან, ორგანოებთან ან სხეულის სითხეებთან ახლო კონტაქტის შემთხვევაში, რადგანაც ავადმყოფის სისხლი დაავადების მწვავე ფაზაში შეიცავს ვირუსის მაღალ კონცენტრაციას. ინფექციის პრევენცია ან კონტროლი ცხოველებსა და ტკიპებში რთულია, რადგანაც ინფექციის გადაცემა ძირითადად შეუძნეველად მიმდინარეობს, ხოლო შინაურ ცხოველებში ინფექციის გამოაშკარავება ძირითადად ვერ ხერხდება. ინფიცირების შემცირების ერთადერთ გზას წარმოადგენს რისკის ფაქტორების შესახებ ცნობიერების ამაღლება ხალხში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს დაავადება ჩვენ რაიონშიც აღინიშნა, რამდენიმე შემთხვევა კი სავალალოდ დასრულდა, ასე, რომ ჩვენ მუნიციპალიტეტში ამჟამად ფართო საინფორმაციო სამუშაოები მიმდინარეობს მთელ რიგ სოფლებში. უფრო ვრცლად ამ თემასთან დაკავშირებით, თუ რა საფრთხის შემცველია ვირიმ-კონგოს

ვირიმ-კონგოს ვირუსი საავადმყოფოში მოვიცავთ სულ 15 სოფელს, მათ შორისაა: ბრილი, ალი, ნაბახტევი, დიდი ფლევი, ზემო აძისი, ნაცარგორა, ვაყა, ხალები, ტეხერი, ცხრამუხა, ბიჯნისი, ზეკოტა, ურთხვა, ნარვანი, ცოცხნარა, ქემფერი და დაბა სურამი. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება მოგვმართავს დახმარების აღმოჩენის საჭიროებით, იმ სოფლიდან, რომელიც ზემოთხსენებული სოფლების რიცხვში არ შედის, ასეთ მოქალაქესაც აუცილებლად დავეხმარებით. ინფექციის თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია შემდეგი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება: დამცავი ტანსაცმლის ტარება (გრძელი შარავლები და გრძელი სახელოები), ღია ფერის ტანსაცმლის ტარება, რომელზედაც ადვილად გამოჩნდება ტკიპა, ტანსაცმლის და კანის საფარველის რეგულარული დათვალიერება ტკიპის აღმოჩენის მიზნით, მისი არსებობის შემთხვევაში კი უსაფრთხო მეთოდებით მოცილება, ტკიპების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება ცხოველთა სადგომში, ცხოველების დაკვლის ან მოვლის დროს ხელთათმანებისა და დამცავი ტანსაცმლის ტარება, მოვერიდოთ დაინფიცირებულ ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტს, დაინფიცირებული ადამიანის მოვლისას ჩავიცვათ ხელთათმანები და დამცავი ტანსაცმელი, რეგულარულად დავიბანოთ ხელები. დაავადება შემდეგი სიმპტომებით აღინიშნება: ცხელება, თავბრუს ხვევა, კისრის ტკივილი და დაჭიმულობა, ზურგის ტკივილი, თავის ტკივილი, ჩანისხლიანებული თვალები და მგრძობელობა სინათლეზე. ასევე დასაწყისში შესაძლებელია დაფიქსირდეს გულისრევა, ღებინება, დიარეა, ტკივილი მუცლის არეში და ყელის სიწითლე, ხოლო შემდგომ - ხასიათის მკვეთრი ცვლილება და გონების დაბნელება. 2-4 დღის შემდეგ შფოთვა შესაძლებელია შეიცვალოს ძილიანობით, დეპრესიითა და დაღლილობით, გამოხატული ღვიძლის ზომაში მომატება, მუცლის ტკივილი შესაძლებელია შეინიშნოს მარჯვენა ზედა კვადრანტში.

მსგავსი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში აუცილებლად მიმართეთ ექიმს. სხვა კლინიკური ნიშნები მოიცავს ტაქიკარდიას (გულის შეკუმშვათა მომატება), ლიმფური კვანძების ზომაში მომატება, გამოწყობის, რომელიც გამოწვეულია კანში სისხლდენით) ლორწოვანის შიდა ზედაპირებზე პირში, საყლაპავსა და კანზე. სშორად აღინიშნება ჰეპატიტის ნიშნები და მიიმე შემთხვევებში, ავადმყოფობის მეხუთე დღის შემდეგ, შესაძლებელია თირკმლის ფუნქციების სწრაფი გაუარესება, უეცარი ღვიძლის უკმარისობა.

ინფექციის სამკურნალოდ გამოყენებულ იქნა ანტივირუსული მედიკამენტები, რომლების მეშვეობითაც მიიღწევა ძალზედ ეფექტური შედეგი, შესაბამისად, თუ პიროვნება დროულად მოახდენს რეაგირებას დაავადება სრულყოფილად განკურნებადი.

თ. სხვლასცი



დაავადება, სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორს შამბი ზაზიკაშვილი გაეცხაურეთ: ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფექცია დაახლოებით სამი წლის წინ დაფიქსირდა. ამ ხნის განმავლობაში 22 ადამიანის დაინფიცირების შემთხვევა იყო, 4 კი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. თითქმის ერთი კვირაა, რაც პრევენციული სამუშაოები დაიწყო, ძირფესვიანად ვამუშავეთ ხსნარებით საქონლის სადგომებს და დაახლოებით მარტის ბოლომდე დავასრულეთ, თუმცა, ეს ერთჯერადი არაა, ვგეგმავთ ზაფხულშიც სადინზეფიკაციო სამუშაოების გამეორებას. შესაბამისი ხსნარებით სურსათის

მ მ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი

კანონი, რომელმაც შეიძლება მრავალი გაუგებრობა წარმოშვას

როგორც წესი, კანონი კონკრეტულად უნდა აღგენდეს სამართლიანობის მოქმედების ჩარჩოებს, რათა მის აღმსრულებლებს არ ჰქონდეთ შინაარსის სხვადასხვაგვარად აღქმა-განმარტებისა და შესრულების შესაძლებლობა. ჩვენმა ხელისუფლებამ გასულ წელს მიიღო მართლაც დროული კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რის საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 19 ნოემბრის 591 დადგენილებით დაამტკიცა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი. ჩემი ახალგაზრდობის წლებში, მთავრობაში არაერთხელ განხილულა საკითხი სოფლის და განსაკუთრებით მთიანი ზონის განვითარების შესახებ, პროგრამებს ხან „პირით მთისკენ“ ერქვა და ხან რა, მაგრამ... მასსოვს ირანიდან ზარზემით ჩამოსახლებული ფერეიდნელი ქა-



რთველებისა თუ საქართველოს მთიანი რაიონებიდან მიგრირებული ოჯახების უდაბნოსა და სხვა სოფლებში ჩასახლება, სადაც ტერიტორიების წალკოტად გადაქცევა იგეგმებოდა, მაგრამ... მასსოვს სტალინური მმართველობის პერიოდი, როცა სოფელში მაცხოვრებელ მოქალაქეებს პასპორტი არ ეძლეოდათ და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, სოფლიდან ამოწერა ეკრძალებოდათ, რაც ხელს უწყობდა სოფელში მოსახლეობის დამაგრებას. მასსოვს ხრუშჩოვისა და მომდევნო მთავრობების მოღვაწეობის წლებიც, როცა სოფლის მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, მაგრამ...

მაგრამ, დადგა დრო, როცა ადამიანებს ქვეყნის შიგნით საცხოვრებელი ადგილის არჩევანის უფლების შეზღუდვა მოეხსნათ და სულ მალე მივედით იმ ზომამდე, რომ ქვეყნის დედაქალაქში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი. საცხოვრებელ ადგილებზე მუდმივი ჩაწერების გაუქმების გამო, განსაკუთრებით თბილისში, წარმოიშვა უმისამართო ადამიანების ე.წ. ფენა, რომელთა აღმრიცხველი მხოლოდ ღმერთია და მანაც კი არ იცის, რამდენი მოქალაქე ცხოვრობს ამჟამად ჩვენს დედაქალაქში. თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველო ვატიკანს დაემსგავსება, იქნება სხვა სახელმწიფოს მიერ გარშემორტყმული ერთი ქალაქი იმ განსხვავებით, რომ იქ ფუფუნებაა, ჩვენთან კი სიღატაკე. მინდა გამოვთქვა მოსაზრებანი, თუ რა სირთულეებს წააწყდება ჩვენი ქვეყანა და მოქალაქენი ქვეყნის „ზემო“ და „ქვემო“ დარაიონების გამო. მაგალითად:

1. მაღალმთიან სოფელში 9 თვის განმავლობაში ცხოვრება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოქალაქემ მიიღოს იქ ცხოვრების სტატუსი, მაგრამ გაურკვეველია ეს 9 თვე მუდმივად უნდა ცხოვრობდეს იქ, თუ ცალკეულ პერიოდებში, ორი თვე გაზაფხულზე, ხუთი თვე ზაფხულში და ორი თვე შემოდგომაზე? ან როგორ გამოიანგარიშება წევრთილი პერიოდები?
2. რომელი კანონით ეკრძალება მაღალმთიან სოფელში მცხოვრებ მოსუც დედას, რომ ქალაქში შეილთან გაატაროს ცივი თვეები - ოქტომბრიდან აპრილამდე? ასეთ შემთხვევაში სად მაცხოვრებლად ჩაითვლება მოქალაქე?
3. თუ მოქალაქეს საცხოვრებელი სახლი აქვს ქალაქშიც და მაღალმთიან სოფელშიც, იგი ხან ქალაქშია, ხან სოფელში, სად ცხოვრობს იგი?
4. მიცემა თუ არა შეღავათები მედპერსონალს, თუ სამედიცინო პუნქტი დისლოცირებულია დაბალ, ხოლო სამომსახურო სოფლების ნაწილი მაღალ ზონაში?
5. როგორ შეეწყობა ხელი გათბობის უზრუნველყოფაში მოქალაქეებს, რომლებიც ზამთრის პერიოდში იმყოფებიან ქალაქში, ზაფხულში კი სოფელში? ასეთებს ხომ შეუძლიათ ზამთარშიც სოფელში დარჩენა?
6. მიეცემა თუ არა დანამატი მასწავლებლებს, რომლებიც ცხოვრობენ დაბალ ზონაში, მაგრამ ასწავლიან მაღალ ზონაში განლაგებულ სკოლაში?
7. სოფლის მეზობლობაში ნუთუ ძნელი იქნება ორი მოწმის მოქმედება, ვინაც დაადასტურებს პიროვნების სოფელში მუდმივად ცხოვრებას?

ანდა მოწმე ვალდებული ხომ არაა აღრიცხოს მისი მეზობელი რამდენი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა სოფელში ხომ არ წარმოქმნის მეზობლებს შორის უკმაყოფილებას დასტურის მიცემის საკითხები?

8. ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმების გამო, ხომ არ აქვს ადგილი იძულებას, რომ მოქალაქემ იცხოვროს მისთვის არასასურველ ადგილზე?

9. თუ მაღალმთიან სოფელში ცხოვრებისა და შრომის დამადასტურებლად ფოტოსურათიც კი გამოდგება, რა შეუშლის ხელს ბარში მცხოვრებ მოქალაქეს სურათი გადაიღოს ცელით და თოხით ხელში, თუნდაც მთის მწვერვალზე და წარადგინოს იგი კომისიაში?

10. სპეციალურად შექმნილი ჯგუფის ადგილზე გასვლით განა შესაძლებელი იქნება ჭეშმარიტების დადგენა? მოქალაქის სოფელში ყოფნის 9 თვიდან, ხომ შეიძლება კომისიის ვიზიტი დაემთხვეს მოქალაქის ადგილზე არყოფნას?

გარდა ამისა, კიდევ მრავალი საკითხი წარმოიშვება, რაც გამოიწვევს საჩივარ-განცხადებების კორიანტელს, ამის უბრალო მაგალითად ორი მთიანი სოფლისთვის სტატუსის განსაზღვრისას, მათი მიმდებარე მთების დახრილობის გათვალისწინებაც კი გამოდგება. კანონი ხომ არ აღგენს დახრილობის გრადუსს? ე.ი. საკითხის გადაწყვეტა მოხდება სუბიექტურად. რაც შეეხება გათვალისწინებულ შეღავათებს, ამ საკითხებშიც ბევრი რამაა დასარეგულირებელი, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი ძალიან ძნელი იქნება სოფელში მოსახლეობის დამაგრება იმ პერიოდისათვის, როცა იქ გაზრდილი და დაბერებული ადამიანები გადასახლდებიან სხვა სამყაროში.

მაბალითად: 1. ახალშობილი ბავშვების ოჯახს დახმარება ეძლევა ორი წლის განმავლობაში. ისმის კითხვა: ორი წლის ბავშვის შენახვას ფინანსები აღარ ჭირდება თუ მას დამოუკიდებლად შეუძლია თავის შენახვა?

2. ახალგაზრდობის სოფელში დამაგრების მიზნით, რომ სპორტის განვითარებას ვგეგმავთ, ვინმემ იფიქრა იმის შესახებ, რომ ორიოდ ბავშვისთვის სპორტული კომპლექსის აშენებას სახელმწიფო ვერ შეძლებს და ვერც მწვრთნელებს დაუნიშნავს? ანდა ორიოდ ბავშვით როგორ ჩამოაყალიბებენ სპორტულ გუნდებს?

3. განა რამდენი ახალი მოსახლე დაუბრუნდება სოფელს, რომ მათთვის აშენდეს სკოლა და დაკომპლექტდეს მასწავლებელთა კორპუსი?

4. მაღალმთიან სოფლებში, სადაც ზამთარში თოვლის სიმძლვე მეტრებით იზომება, სასკოლო ავტობუსები და მასწავლებლები რომ ვერ ივლიან, ეს ვინმემ გაითვალისწინა?

5. ძირითად მიმართულებად რომ სპორტის და განათლების საკითხები დავისახოთ, განა არ უნდა გაითვალისწინოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ამბულატორიული მკურნალობის შესაძლებლობები?

ამ წერილის მიზანს არ წარმოადგენს ქილიკი. პირიქით, მინდა ხელისუფლებას და მთავრობას შევახსენო, რომ კომუნისტებს შესანიშნავი პროგრამა ჰქონდათ კომუნიზმის დამყარების შესახებ, მაგრამ ის არ ითვალისწინებდა ბუნების, ანდა ადამიანთა ცნობიერების განვითარების ობიექტურ კანონებს და ამიტომაც, ეს საოცნებო პროგრამა გადაიქცა ერთსიტყვიან ანგდლოტ „კომუნიზმ“-ად. ამისმაგვარი შეცდომის დაშვება აღარ შეიძლება.



სურვილი ყოველთვის აღემატება შესაძლებლობებს და ამიტომაც ცოტა მოზომილად უნდა გავამყდავნოთ იგი და ბაქი-ბუქის გარეშე ვიაროთ ამ მიზნებისკენ, სხვა შემთხვევაში მოსახლეობას ჩამოუყალიბდება აზრი, რომ ისინი კიდევ ერთჯერ მოტყუვდნენ.

ახლა ადამიანებს უნდა შეეპირდეთ იმდენი, რამდენსაც სახელმწიფო შეძლებს ისე, რომ არ გადაგვარდეთ მეორე უკიდურესობაში. თუმცა, ისიც მესმის, რომ ქალაქები არ დაცარიელდებიან ხალხის სოფლებში საცხოვრებლად გაქცევის გამო.

მინდა, ჩვენს მთავრობას და ხელისუფლებას მადლობა გადავუხადო იმ მზრუნველობისთვის, რასაც იქნენ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და ბოდიშიც მოვუხადო იმ უმადურობისთვის, რასაც სოფლის ზოგიერთი მცხოვრები იქნენ მათ მიმართ. რას იზამ, უმადურები და უზნეონი ყველა დროში ცხოვრობდნენ და იცხოვრებენ, მოვარია, ასეთების ხმა დარჩეს ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა, ანუ ძაღლმა იყეფოს, ქარავანმა კი გზა გააგრძელოს.

ღვინის და ვაზის ღვთაებრივ და ადამიანურ კავშირზე, საუკუნეებს რომ იტევს და ქართველობას რომ გვინახავს, აღარაფერს მოვყვებით, არც იმ ქართველზე, სამშობლოს დასაცავად ომში მიმავალი მხნეობისთვის რომ სვამდა ღვინოს, აღიდებდა უფალს და ქვეყანას ავედრებდა, არც იმაზე, ქართლ-კახეთის ვენახებს ვაზთა და ადამიანთა მრავალი ცრემლი რომ უნახავს. ისტორია ქმნის მომავალს და არქმევს სახელს ქვეყანას. ჩვენ ვაზის, ღვინის ქვეყანა ვართ-მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო ღვინის სამშობლო!

როდესაც ვენახზე, კარგ ღვინოზე ვსაუბრობთ, პირველი ასოციაცია, ყოველთვის კახეთისკენ მიდის. თუმცა, ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი ღვინის სახეობები აქვს, რომლებიც ქმნიან მრავალფეროვნებას.



უპრემიო, მევენახე, მეღვინე...
**ძია გიზო, თქვენ თუ ღვინით დაბე-
 ლოცვით, ჩვენ სიტყვით გლოცავთ,
 ღვინის არ იყოს, სიტყვასაც თავისი
 ძალია და
 ტემპერამენტი აქვს...**

აქვს, რომლებიც ქმნიან მრავალფეროვნებას. ყველა ნიადაგს, თავისი გემო და აქვს თავისი ტემპერამენტი შეაქვს ამ მაღლიანი სითხის დაყენებაში-გიზო ცუცქირიძემ მითხრა, ქვიშხეთელმა მევენახემ, რომელსაც ვენახის სხვლის პროცესში ვესტუმრეთ.

გიზო ძიას(აღბათ მიმართვის ეს ფორმა მისთვის უფრო მისაღები და სასიამოვნოც იქნება), თავისი სიკეთით და კარგი ღვინით იცნობს ხაშური. ხუთი შვილის მაღლიან მამას, მაღლით სავსე საქმე აურჩევია, ვაზის თითო ძირს ეყვრება და უფროსიღვინა, ამრავლებს, საკუთარი და სხვისი მომავლისათვის. მოსაუბრეც კარგი აღმოჩნდა, სითბოწაღვრილი ხმით საუბრობდა-თქვენ შემოდგომით უნდა ნახოთო, როგორ იბრაწება მხეზე ჩემი გორული მწვანე, ჩინური და შავკაპიტო-შვილივით ნაფერებ ვენახს სიყვარულით და სიამაყით უყურებდა. ფეხდაფეხ დაგვატარა, სამი თაობა, გამართული ვენახი, ახალნაშენი და ახალი ჯიშისთვის გამზადებული სავენახე მიწაც გვაჩვენა.



მარანშიც ვესტუმრეთ, თავმოძვრულ შემოგვეყურებდნენ ქარვისფრად დაფერილი ღვინის ბოცები, რამდენი და "რამდენფერი" სითხე შემოგვეყურებდა, მე რომ მხოლოდ ახლა გავიგე მათი სახეობების არსებობის შესახებ. გავეცანით ერთმანეთს (მე და გორული მწვანე), დავლოცეთ. ერთტიქიანმა ნაცნობობამ, დასაწყისში ყოველთვის სასიამოვნო რომაა, ასევე სასიამოვნოდ დაურბინა სხეულს და გონებას. ისევ ვენახებს დაუბრუნდით, სადაც ლერწამზე შემწვარი მწვადი, ჩვენი სტუმრობით ხელოვნურად დღეშემოკლებული ვარია და ჩემს მასპინძელთან საუბარი მელოდა.

ჩვენს სოფელს დიდი ტრადიცია ჰქონდა მევენახეობის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოსახლეობაზე დაანაწილეს მიწები, 10 მთავი შეგვხვდა, ამით დავიწყე. დღემდე მიწების ყიდვის პროცესში ვარ. ახლა 4 ჰექტრამდე მაქვს. 3 ჰექტრამდე უკვე გამართული ვენახია, უკვე ნაყოფს იძლევა. ახლა კიდევ მაქვს გამზადებული ახალი ჯიშისთვის მიწა, მაინტერესებს, როგორ შეეგუება ჩვენს ნიადაგს და ჰავას.

- მიჩითაფა, რა ჯიშები გაქვთ?
 - გორული მწვანე, შავკაპიტო, ჩინური (ჩინებული), ძველშავი, დირბულა, ციცქა ცოლიკაური, რომელიც ძალიან ცოტა ნაყოფს იძლევა. ახლა 24 მთავი პინოსთვის გავამზადე. ყველა მევენახემ უნდა იცოდეს, რომ სასურველია ვენახში ერთი სახეობის ვაზი გააშენოს, რადგან ყველა ჯიშს სხვადასხვა დროს უნდა შეწამულა, შავკაპიტოს 3-ჯერ, გორული მწვანეს 6-ჯერ.

**- რამდენ ლიტრ ღვინოს აწარმოებთ? ბაზარზე მომხმარებლებს უფრო ღვილით თუ შემთავ-
 სება მშობს უპირატესობა?**
 - ყოველწლიურად II ტონამდე სხვადასხვა სახეობის ღვინოს ვაყენებ. ესაა სუფთა წვენი. გარდა ამისა, ვყიდულობ კიდევ რქაწითელს, რადგან მსურველი უფრო ბევრია, ვიდრე ჩემი ღვინის რაოდენობაა. დირბულას 600-700 ლიტრამდე ვაყენებ, რომელსაც ეკლესიისთვის შესაწირადაც ვამზადებ. გარდა ჩემი ღვინისა, ვყიდულობ რქაწითელს და ვაყენებ ღვინოს, რომ ღვინის შეთავაზება შევძლო მომხმარებლებისთვის. უფრო მეტი მომხმარებელი მყავს, ვიდრე შეთავაზება შემიძლია, ყველაზე დიდი მოთხოვნილება გორული მწვანეზეა. მისი გასაყიდი ფასი 3-4 ლარია. ყველაზე ძვირადღირებული ღვინო დირბულაა, რომლის ფასი 5-7 ლარია.

- როგორ უმძრობთ, რა განაპირობებს ღვინის გემოვნის უმძრობის მიზეზს?
 - ყველაზე მნიშვნელოვანი ჰავა და ნიადაგია, რამაც შეიძლება ღვინის გემოვნურ თვისებებზეც იქონიოს გავლენა. ბოლო წლებია ძალიან კარგად მწიფდება გორული მწვანე, რომელიც მაღალ გრადუსს იძენს, მაღალი შაქრიანობა აქვს. ჩვენი კლიმატიდან გამომდინარე, ყველაზე ფაქიზი მოსავლელი გორული მწვანეა, მაგრამ ძალიან დიდი აზარტია მისი მოვლა და გაშენება.

- ღვინოს სარეკლამო, მკვლევარი გაქვთ?

- დიდი მარანი მაქვს, რომლის მოწივობასაც დავიწყებ წელს. მიწების ყიდვით და ვენახის გაშენებით ვიყავი აქამდე დაკავებული. ძირითადად მინის ბოცებში და მეტალის დიდ ავზებში ვინახავ. ძალიან მინდა ქვევრები გავაკეთო. ქვევრის ღვინოს განსაკუთრებული არომატი აქვს, სწრაფადაც ღვინდება და ძველ, ქართულ ტრადიციასაც დავაბრუნებ ღვინის დაყენების.

- რამდენად ღვი შრომას მოითხოვს ვენახის გაშენება, მოვლა-პატრონობა?
 - ძალიან შრომატევადია, სულ ჩართული ხარ, გაზაფხულიდან გასხვლა, შემდეგ ახვევა იწყება ვენახის, მრავალჯერადი შეწამულის-უამრავი საქმეა. მიწაში ჩადებული ინვესტიცია, ყველაზე მაღლიანი ინვესტიციაა. ჩვენა პატრიარქმა მოგვიწოდა, არ გაგვეყიდა მიწა და მასთან ახლოს ვყოფილიყავით. საქმე რომელსაც აკეთებ, უნდა გიყვარდეს, გულთან ახლოს უნდა გქონდეს.

- ამ მშველევარს მხოლოდ ოჯახურად, თქვენი კალაშით აკმაყოფილებთ?



- ეს ოჯახური საქმეა, მაგრამ ამას მხოლოდ მე ვერ შევძლებ, ფართობი დიდია, შესაბამისად, მეტი მუშა-ხელია საჭირო. ამ ეტაპზე, ორი დამხმარე მყავს. ეტაპობრივად, საქმის მატებასთან ერთად, მეტი ადამიანის დახმარებაა საჭირო. ერთი შვილი ბერია, დანარჩენები პატარები არიან, ვერ მეხმარებიან. ყველაზე პატარა, რომელიც ხუთი წლისაა, ყველაზე დიდი სტიმული გახდა ჩემთვის და მაშინ დავიწყე ფიქრი, ვენახის გაშენება ოჯახურ საქმედ და ტრადიციად მექცია. ესაა ჩემი ოჯახის ერთადერთი ფინანსური შემოსავალი. ოჯახს, 5 შვილს, კი მოგვეხსენებთ, ბევრი ჭირდებათ.

- სოფლის მეურნეობის პროგრამაში თუ მონაწილეობთ, მსარგებლო რამდენიმე სახეობის მსარგებლობა?

- ინტენსიური ვენახების განვითარების პროგრამა იყო 2 წლის წინ, სოფლის მეურნეობის ხაშურის საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ხელშეწყობით, მონაწილეობა მივიღე და გავიმარჯვე. გადმომეცა ხელის ტრაქტორი და წვეთოვანი სარწყავი სისტემა. რამაც გამიადვილა შრომაც და გაზარდა მოსავლიანობა. USAID პროგრამის ერთ-ერთი სპეციალისტი გვეყავდა, რომელმაც გვიჩინა, გამოგვეკვლია ნიადაგის შემადგენლობა და დავხმარებოდით ვენახს.

- ქარხნის მოწყობის, მიწის უპირატესობის გარდა, რაიმე გეგმა ან მიზანი სრულ გაქვთ, რას მოჰყვით საქმიანობის სულსაშენებელი ინიციატივა?

- სოფლის მეურნეობის ხაშურის საინფორმაციო სამსახური აქტიურად მიჭერს მხარს და მაცნობს იმ სიახლეებს, რომელიც შესაძლებელია დაგწერგო და გამოვიყენო ჩემი საქმიანობის გასაფართოვებლად. ძალიან მაინტერესებს აგროტურიზმი, სადაც ვაჩვენებ ღვინის წარმოების ყველა პროცესს დასაწყისიდან დასასრულამდე. ხანგრძლივი პროცესია და დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. იმედი მაქვს სახელმწიფოს დახმარებით, შევძლებ ამის განხორციელებას და ჩემ საქმეს, არა მხოლოდ კომერციული, არამედ კულტურული დანიშნულებაც ექნება.

ამ დარგის სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს ვენახის, ვაზის მდგომარეობა, ღვინის დაყენება-შენახვის ტექნოლოგია, გემოვნური თვისებები. ალექსანდრე დვალაშვილი (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი მევენახეობის დარგში): ჩვენთან, ამ ზონაში გავრცელებულია ვაზის ისეთი სახეობა, როგორცაა გორული მწვანე, ანუ ქვიშხურა. ამ ზონისათვის ყველაზე მისაღები და წარმატებული ჯიშის სახეობაა. მთის ძირის ზონაა. ძალიან კარგად აქვს დამუშავებული. გიზო თავისი ძალებით, გამოცდილებით აკეთებს ყველაფერს. პატარა ნიუანსებია გასათვალისწინებელი, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი ძალიან კარგია. უნდა აღვადგინოთ ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენს რაიონს ჰქონდა მევენახეობის მხრივ. გიზო, სწორედ ამ ქართულმა ძალიან საქმეს აკეთებს.

ვენახს თავისი სითბო ჰქონია, თავისი სუნი და სიკეთე... გიზო ძიას ქვიშხურა ფერავდა მომავლის კეთილი სურვილებით სავსე ჭიქებს. რატომ არ უნდა გინდოდეს, კეთილშობილ ადამიანს, ქართული მზით გამთბარ მევენახეს მაღლიანი გზა და საქმე დაულოცო?! ახლაც გლოცავთ ძია გიზო, ღვინის არ იყოს, სიტყვასაც თავისი ძალია და ტემპერამენტი აქვს!

თ. ჯავახიშვილი

საქართველოს ისტორიაში ცნობილი არაერთი საგვარეულო იქცა კვლევის ობიექტად და მათ შესახებ საყურადღებო ნაშრომებიცაა შექმნილი. მაგრამ არის საგვარეულოები, რომელთაც ნაკლებად იცნობს საზოგადოება, უცნობია მათი ღვაწლი ქვეყნის ისტორიაში.

ერთ-ერთი ასეთი ვეზირიშვილების საგვარეულოა, რომელიც XVIII საუკუნის 70- იანი წლებიდან გვიანდელი ზემო ქართლის ერთ-ერთ ცნობილ სოფელში - ოსიაურში მკვიდრებიან. გვარის სათავეებთან მირზა იბრაჰიმი დგას, რომელიც 1744 წლიდან, ქართლის სამეფო ტახტზე თეიმურაზ II-ის ასვლის შემდეგ ჩანს. იგი სამეფო კარზე ომალა ანუ საფინანსო უწყების მოხელეა. გიორგი ვეზირიშვილი, მისი ვაჟი, მოგვიანებით შედგენილ დოკუმენტში, იტყვის: „მამაჩემი, ვეზირი, ნადირ ყაენისაგან წარმოგზავნილა საქართველოდ მეფეს თეიმურაზთან ვეზირად და ამ ხარისხითა და მოადგილობით ემსახურებოდა მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის“.

სხვაგან გიორგი ვეზირიშვილი ამავე საკითხზე წერს: „დროსა მას ნადირ - შაჰიმ კართითვისით მეფეთა ამათ (თეიმურაზსა და ერეკლეს - თლ) აახლა მამაი ჩემი მირზა იბრაჰიმ“.

მირზა იბრაჰიმი იშვიათი ერთგულებას იჩენს სამეფო კარისადმი. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ 1746 წელს მის თავს დატრიალებული ამბავი. ამ წელს ნადირ-შაჰმა ქართლსა და კახეთს დიდი გადასახადები შეაწერა. მან ქართლ - კახეთიდან დაიბარა ომალეები - საფინანსო უწყების მოხელეები, რომელთა შორის იყო მირზა იბრაჰიმი. ნადირ-შაჰი იმდენად იყო განრისხებული, რომ „...ქართლის ბატონის (ე.ი. თეიმურაზის - თლ) ვეზირს მირზა იბრაჰიმს, ვეჭვილებს... ყველას, თუ რამ ჰქონდათ, წაართო. ორსავე თვალს დასხრა ბძანა. დათხარეს ყველას და ვერცე ბრძანი ქართლში გაისტუმრა“ (პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, 1981, გვ.120).

ასე დასაჯა ირანის შაჰმა ქართლის სამეფო კარის ერთგულებისათვის მირზა იბრაჰიმი, რომელიც, მისივე ნებით, თეიმურაზს (ალბათ, გარკვეული დავალებით) აახლა ტახტზე ასვლის დროს. როგორც ჩანს, მირზა იბრაჰიმმა, რომელმაც თეიმურაზის ერთგულება ამჯობინა, იმედები ვერ გაუმართლა ირანის შაჰს და ამიტომაც დასაჯა ასე მკაცრად იგი.

ასეთივე ერთგულებას იჩენს ქართლ-კახეთის სამეფოსადმი მისი შვილი - გიორგი ვეზირიშვილი, იგი ყოველთვის ქვეყნის სამსახურშია, ეს იქნება ქვეყნის ცხოვრებაში მშვიდობიანი პერიოდი თუ ომიანობა.

მირზა იბრაჰიმის გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახზე და შვილებზე უკვე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II იჩენს მზრუნველობას. გიორგი ვეზირიშვილი წერს: „... და შემდგომად გარდაცვალებისა მამისა ჩემისა, მე პატარა დაფრნი და მეფემ ირაკლიმ მომნათლა და მართლმადიდებლობაში მომიყუანა და იმის წყალობით ვსცხოვრობდი და მეფეს ირაკლის და მეფეს გიორგის სისხლით ვემსახურე, რომლისაგან სამსახურის ნაცვლად მიბოძეს სახელოდ ნასახნიბაშის ნაიბობა და გამიჩინეს ჯამაგირი“.

გიორგი ვეზირიშვილი ერეკლე მეორემ თავადის ხარისხში აიყვანა. იგი დოკუმენტებში მოიხსენიება, როგორც მირზა იბრაჰიმის შვილი, ან ნასახნიბაშის ნაიბი გოგია. მან, მამის სახელის სახელწოდებით (თუ სახელიდან, იგი მამამის მოიხსენიებს ვეზირის სახელითაც) გამომდინარე, მიიღო გვარი - ვეზირიშვილი და ასე გახდა XVIII ს-ის 70-იანი წლებიდან ცნობილი საგვარეულოს ფუძემდებელი.

1772 წლის 17 სექტემბერს, ერეკლე II მირზა იბრაჰიმს შვილს - გოგიას (ვეზირიშვილს) სადედოფლო მამული-ოსიაური უბოძა. სიგელში ნათქვამია: „...ჩვენ იასიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანთან მეფემან ქართველმან და მეფემან კახთამან, ყაზახისა და ბორჩალოს მჭირავმან მეორემან ირაკლიმ... ესე წყალობის სიგელი შეგიწვალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად ერთგულს და ჩვენს საფარველსქვე აღზრდილს მირზა იბრაჰიმს შვილს გოგიას... გიბოძეთ ოსიაური სოფელი მას შიგან მსახლობელის



გილს) სადედოფლო მამული-ოსიაური უბოძა. სიგელში ნათქვამია: „...ჩვენ იასიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანთან მეფემან ქართველმან და მეფემან კახთამან, ყაზახისა და ბორჩალოს მჭირავმან მეორემან ირაკლიმ... ესე წყალობის სიგელი შეგიწვალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად ერთგულს და ჩვენს საფარველსქვე აღზრდილს მირზა იბრაჰიმს შვილს გოგიას... გიბოძეთ ოსიაური სოფელი მას შიგან მსახლობელის

გილსით, მითთა, ბართთა, სახნაეთთა, უხნაეთთა, სათბობთა, ვენახითა, წისკვილითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამზღვრით შენთვის და შვილთა შენთათვის გებოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა-მეპატრონეთაგან“.

გიორგი ვეზირიშვილი განსაკუთრებულ პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავს ერეკლე მეფისადმი. 1794 წელს დავით გარეჯის მონასტრისადმი სიგელში აღნიშნავს: „...ღვთისა მსახურმან და მადლამან ამან, ქართლისა, კახეთისა და ყოვლისა საქართველოსა მეფემან ირაკლი მეორემან აღმოიქვა ქრისტეს მიერსა ნათლისღებვასა, აღიზრდილი და გულის-სათქმელსა, ქრისტეს მეგობრთა ცხოვართა შორის შემერთო, აღმზარდა, მამული და ემანი მიბოძნა, თავადობისა პატივსა აღმოუყვანა, სახელო მიბოძა და ამიერ ჟამითგან იგი მიღუიწის და მფარავს და ნუგეშინისა მცემს და ყოველი სიცოცხლე ჩემი მოწყალებით მისითა არის“.

საბუთებიდან ჩანს, რომ გიორგი ვეზირიშვილს დიდი გემირობა გამოუჩენია კრწანისში 1795 წლის 10 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლის დროს. 1796 წლის 24 სექტემბერს, ერთი წლის შემდეგ, ბატონიშვილები - ვახტანგი და ალმასხანი მას აძლევენ „წყალობისა და მოწმობის წიგნს“, რომელშიც კარგად ჩანს კრწანისის ბრძოლის დროს გიორგი ვეზირიშვილის ქვეყნისათვის თავდადების ამსახველი ერთი ეპიზოდი.

„წყალობითა ღვთისითა, - ნათქვამია საბუთში, - ჩვენ, დავითიან-ბაგრატიონმან, ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისა ძემან ვახტანგ, ალმასხან, ესე სწყალობისა და მოწმობის წიგნი ამისად ნიშნად გიბოძეთ შენ, თავადს ვეზირის შვილს გიორგის, ნასახნიბაშის ნაიბს. წელსა ჩღვე (1795) ასტრბათელი მაჰმადასან-ხანის შვილი ალა-მაჰმად-ხან, სპარსეთის, ერაყისა, ადრბეჯანისა და სხვას ურიცხვს ჯარით საქართველოს აღსახრებლად ტფილისს დიდად მახლობლად მოვიდა. მაშინ სექტემბერს ათს, ორშაბათს დღეს, მათის უმადლესობის ბრძანებით კრწანისს ბაღებთან თოფხანასთან ვიდევით და მოხდა იმგვარად, რომ ჯარი არ გვახლდა. ასე მცირედ ვიყავით, რომ იმ ორს მაიორსა და ხუთსა-ექვსს თოფხს გარდა თორმეტი თუ იქნებოდნენ ჩემის ამალით და სხვათ. მოგვადგა ყიზილბაშის ჯარი ორპირად, ერთი დასტო სოღანდულის გზიდან და მეორე კრწანისს ზემოთს კლდეებზედ. იმ დროს ჩვენთან მოხვედ და მანამდის ქალაქიდან ჯარი გამოგვეშველებოდა ერთი საათი მეტი გასწია, შეგვექნა დიდი ბრძოლა და შენ იმ ომში დიდად მხნედ და სახელოვნად გაისარჯე და ამ ჟამად მოხვედ და ამ შენის სისხლით ნამსახურობის დაუვიწყებლობას დაგვეაჯე და ჩვენ არათუ არ დავიწყებთ მეთანამდებენი, არამედ სხვათა მოთხრობად მოვალენი გაძლევთ შენის დიდის სიმხნისა და გარჯის მოწამენი, რომ ჩვენ და სახლი ჩვენი დიდად მოვალენი ვართ შენნი და მიიმედვე იყავ მაგიერის წყალობისა“.

გიორგი ვეზირიშვილს, როგორც ჩანს, არაერთხელ უსახელებია თავი. ერთ-ერთ გვიანდელ (1798 წ.) საბუთში მოთხრობილია ლეკების წინააღმდეგ და ერეკლის ციხესთან გამართულ ბრძოლებში გამოჩენილ მის გემირობებზე. „წყალობითა ღვთისათა, - ნათქვამია საბუთში, - ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფემან გიორგომ და თანამეცხედრემან ჩვენმან, ციციშვილის ასულმან, დედოფალმან მარიამ, პირმშომან ძემან ჩვენმან დავით, იოანემ, ბაგრატ,

თეიმურაზ, მიხეაელ, ჯიბრაილ, ილიამ, ოქროპირმან და ირაკლიმ და მის ძემან ჩვენმან გრიგოლ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ შენ, ჩვენს დადათ ერდგულსა და თავდადებით მრავალგვარად ნამსახურს ვეზირიშვილს გიორგის, შვილთა და მომავლთა სახლისა ჯინისათა, ასე რომ ამის უწინარეს ქალაქის პირში საბურთალოზედ ოსმალით და ლეკის ჯარის მოვიდა და ჩვენ გავედით იმათზედ საომრად და დიად ცოტას კაცით შემოვხვედით იმათ და შენც იქ ჩვენთან დაესწარ და სახელოვნად ხელი გამოიღვე და სისხლის დასთხევით ჩვენს წინ თავი შენი არ დარიდე და იმჟამად ღვთის მოწყალებით ვსძლიეთ იმ მტერთ და უკუნ-ვაქციეთ და შემდგომად მისსა კურთხეული მეფე ბატონი მამაჩვენი ერევანზედ ჯარით წაბახნა და ერევანს შემოადგა და იქაც, ერეკლის ციხესთან პირველად ჩვენ ომი მოგვიხდა და იქაც სახელოვნად გაისარჯე და ჩვენს წინ შენი თავი არ დახოვე სასიკვდილოდ“.

ასეთი თავდადებისათვის არც სამეფო კარი დარჩა ვალში გიორგი ვეზირიშვილის მიმართ. ერეკლე მეფემ მას ნასახნიბაშის ნაიბობის სახელი უბოძა, აგრეთვე დაუნიშნა „შესაფერი უღუფა“.

ეს უნდა მომხდარიყო 1779 წელს, როცა „...არდარა ინება ხანმან ერეკლისამან უსენი-ყული ხარკისა მოცემად ქართველთა“ და ამის „გამო წარვიდა მეფე (ერეკლე II - თლ.) მას ზუდა. იქმნა მუნ ბრძოლა, სადაცა მუნ მხნედ აღმოჩნდა მეფის ძე გიორგი. მუნ სძლო მეფემან ერეკლეთა მხედრობასა, მოხარკე ჰყო და მსწრაფლ უკმოიქცა“ ქართლში (თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, 1983, გვ.57).

გიორგი XII იმავე სიგელში სამეფო კარის მიერ გიორგი ვეზირიშვილისადმი გაღებული წყალობის შესახებ ნათქვამია: „ამ შენის ერდგულებისა და სახელოვნად სამსახურების სამაგიეროდაცა და კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგანაც წყალობა გჭირდა და ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ ნასახნიბაშის ნაიბობა და წელიწადში ათი თუმანი ჯამაგირი და შენი შესაფერი უღუფა ყოველს წელიწადს ჩვენის სარქვიდამ ჩვენი მოხელეები უნდა მოგცემდნენ მოუკლებლად“.

ამრიგად, 1779 წლიდან გიორგი ვეზირიშვილი ნასახნიბაშის ნაიბის სახელს ფლობს ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამდე.

გიორგი ვეზირიშვილს ენდობა სამეფო კარი, მას ავალბენ და ანდობენ არაერთ საპასუხისმგებლო საქმეს, რასაც ქვეყნის უშიშროებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ერეკლე მეფის მიერ 1795 წლის სექტემბერში, კრწანისის ბრძოლის შემდეგ, მიცემული დავალება. როგორც ცნობილია, ალა-მაჰმად-ხანი კიდევ აპირებდა ქართლისაკენ გამოლაშქრებას, რაც ერეკლეს აიძულებდა, ყურადღებით ყოფილიყო და საჭირო დონისძიებები გაეტარებინა. ერთ-ერთ ასეთ დონისძიებად სამეფო კარი მიიჩნევდა ცოდნობა, ალა-მაჰმად-ხანის მოძრაობა. ამიტომ ერეკლე მეფემ შექმნა ათკაციანი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა გიორგი ვეზირიშვილი და დაავალა, თვალი ედევნებინა ალა-მაჰმად-ხანის მოძრაობისთვის და საჭირო შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობებინა მისთვის მოსალოდნელი საშიშროება.

ამასთან დაკავშირებით, ერეკლე მეფის 1795 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებაში ნათქვამია: „ ჩვენი ბრძანება არის ნასახნიბაშის ნაიბი გოგია; მერმე, რომელიც ამ სიით სახელდობ კაცნი სწერია, ესენი ახლავ უნდა შემოიყარო, შენც თან უნდა გააყვე, როგორც ზემოთ დაგვებარებინოს, იმგვარად უნდა ალა-მაჰმად-ხანის ჯარით სადმყოფობა უნდა იმ გვარად და აყსაულოთ კარგათ და სწორეთ უნდა შეიტყოთ. ორ-ორის და ორ-ორის კაცის გამობრუნებით უნდა შეგვატყობინოთ. ეს საქმე პირველად ღვთის დასამადლებელი იქნება და შემდგომთ ჩვენი. დიდათ საერდგულო თქვენსას მხნეთ და ერდგულად გარჯილობას როგორც ვნახამ ჩვენგანაც მაგიერს წყალობას ღვთით ისე მიიღებთ... ქვეყნისაც დიდი ერდგულობა იქნება. შვიდის დღის პური და... თან უნდა წაიღოთ. მირზა ალიადასთისაც ოქმი მიგვიწერია, ექვსი კაცით ისიც თქვენთან იქნება“.

სამეფო კარისგან გიორგი ვეზირიშვილისათვის უცხო რომ არ იყო ასეთი დავალებების მიცემა, კარგად ჩანს ჯერ კიდევ 1776 წლის 4 სექტემბრის ერთი საბუთიდან. საბუთის ავტორია ერეკლე შვილი დევან ბატონიშვილი. მასში ვკითხულობთ: „ბატონიშვილის ღვთის კეთილად სახსენებელ მირზა იბრაჰიმს შვილო გოგია; მერმე თქვენი წიგნი მოგვივიდა, რაც ჩვენის საქმისა მოგეწერათ, ყველა შეგიტყეთ. ახლა ეს შოშია საყვარელიმე და ზაზა ნამორაძე გამოგვიგზავნია თქვენთან. ეს ორნიც მანდ, თქვენთან უნდა შეინახოთ. რასაც წამს ჩვენის საქმის ამბავ შეიტყოთ, ეს ორნიც დიად საჩქაროთ და ცხენის ჭენებით უნდა ჩვენთან გამოგზავნოთ. დიას გულმოდგინებით ბუჯითათ უნდა გაისარჯნეთ და რომელიც თქვენის ცდისძიებით შეიძლებოდეს, უნდა ეცადნეთ და ესეც ასე იცოდეთ, რომ რომელიც ამ საქმეში გაირჯება, იმისის წყალობის ბოძების თავლები შენ იყავ... რომელიც რომ ამბავი ჩვენ გვიანდა, ის ამბავი, რომ იყო, სულ წვრილათ წიგნი უნდა მოგეწეროთ“.

ეს ის პერიოდია, როცა ქართლში გასშირებულია ლეკთა თავდასხმები. მათ წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად იბრძვის დევან ბატონიშვილი. ამიტომაცაა, რომ იგი გიორგი ვეზირიშვილს ავალბებს, მაშინდის ინფორმაცია ლეკთა მოძრაობის შესახებ. ისინი ხშირად ახალციხის მხრიდან, ბორჯომის ხეობით შემოდიოდნენ ქართლში. ოსიაური კი, სადაც ცხოვრობდა გიორგი ვეზირიშვილი, ხეობასთან ახლოს იყო.

გიორგი ვეზირიშვილი ერთგულად ემსახურებოდა ქართლ-კახეთის სამეფო კარს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ხშირად საკუთარი სიცოცხლეც შეუვლია სასწორზე. ამიტომ არის, რომ სამეფო კარც ყოველთვის ყურადღებას იჩენს თავისი ერთგული მოხელის მიმართ. გიორგი ვეზირიშვილმა სათანადო ყურადღება მიაქცია ოსიაურის ციხეს. მან ეს ციხე 1797 წელს განახალა, რაზეც მეტყველებდა მასზე გაკეთებული წარწერა, რომელიც დღეს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. მასში ნათქვამია:

„ქ. მიწობითა ყოველად ძლიერისა ღ-თის კლავისათა ადგაშენ კოშკი ესე დროსა დიდებულისა ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლის მე(ორი)სასა მისგან ნაწყალობებსა ს(ა) (ყო)ფელსა ამას შინ(ა) წყა(ლობით)ა ... მან ვეზირის შვილმან ...

თვესა მ(ა)ისისა წლსა ჩღჳ 1797 მე ბევრი მითქომს, მე ვარ, ნურავინ იტყვის, თუ მე ვარ, რომელიც თუ მე ვარ, ასრე გახდება, როგორც მე ვარ, ვინცა ვინ წაიკითხოთ, შენდობა მიბოძეთ“.

როგორც ვხედავთ, წარწერაში ლაპარაკია კოშკის მშენებლობაზე. ვახუშტი ბატონიშვილი, გოულდენშტედტი და სხვები ლაპარაკობენ ოსიაურის ციხეზე. ოსიაურის ციხე ვგვხვდება დოკუმენტებშიც. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ნაგებობის გარდა, რომელსაც მოსახლეობა ციხეს ეძახის ოსიაურში სხვა მისი მსგავსი ნაგებობა არ არსებობს. თუნდაც ნანგრევების სახით. ამიტომ წარწერა ამ ციხის განახლებაზე უნდა მიგვანიშნებდეს და არა კოშკის ახლად აშენებაზე.

გიორგი ვეზირიშვილი ციხეზე გაკეთებული წარწერის ბოლო სტრიქონებში თავის დამოკიდებულებას ავლენს ადამიანის ცხოვრებისადმი. მიანია, რომ ამპარტავნება ბევრს არაფერს მატებს ადამიანს, პირიქით კი... „მე ბევრი მითქომს“, რომ „მე ვარ“, - ამბობს გიორგი ვეზირიშვილი და ამით ხაზს უსვამს იმას, რომ იგი ვი-დაც არ არის, რადაცით სხვაზე მაღლა დგას. ეს არის სწორედ ამპარტავნება.

მაგრამ იქვე იმასაც გვეუბნება, რომ „ნურავინ იტყვის“, რომ „მე ვარ“. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ამპარტავნებასთან გვექნება საქმე. ამიტომ იგი შეგვაგონებს, რომ ვინც ასე იტყვის, ისიც „ასრე გახდება, როგორც მე ვარ“.

გიორგი ვეზირიშვილს ექვსი ვაჟი ჰყავდა. XIX ს-ში ოსიაურში მათი რამდენიმე სახლია. მათ მიკრძალული წვლილი შექონდათ ქვეყნის სამეურნეო თუ კულტურულ - საგანმანათლებლო ცხოვრებაში, ეწოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობას.

-სოფლის მეურნეობა- მნიშვნელოვანი ფორუმი

ამ დღეებში, თბილისში, გაიმართა ფორუმი, რომელიც ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაუმჯობესებას ეხებოდა. ფორუმი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. ფორუმზე მიწვეულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარ-

ერა, რაც საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ფერმერთა განათლების ამაღლების უცილობელი პირობაა. ფორუმი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მასში მონაწილეობას როგორც ამერიკის, ასევე ჩვენი ქვეყნის მაღალი რანგის პერსონები იღებდნენ. მათ გარდა ფორუმს ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებით დაინტერესებული ფერმერები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები, ექსტენციის განმახორციელებელი კერძო და სახელმწიფო ორგა-

რომელიც ჯგუფურად იყო დაყოფილი და მსმენელებს უცხოელმა და ადგილობრივმა სამეცნიერო ცენტრების მეცნიერ-მუშაკებმა მრავალი ნოვატია გაგვაცნეს ბოსტნეულის დაავადებების და მათი წარმოების, მცენარეთა დაცვის, ელექტრონული მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის ფერმის მართვის, სათბურების მშენებლობის, ხილის ხირის, ორგანული პროდუქტის წარმოების, მარცვლეული კულტურების სამფენიანი დასაწყობების



მომადგენლებიც. ჩვენ შევხვდით აღნიშნული სამსახურის უფროსს **ჯემალ ბელაშვილს** და ვთხოვეთ მოეთხორო ამ ფორუმის შესახებ. -ფორუმი მართლაც მნიშვნელოვანი იყო, აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში. -ხაშურიდან მასში სამი წარმომადგენელი ვიღებდით მონაწილეობას, მე და სამსახურის სპეციალისტები ავთანდილ გოგოლაძე და როინ კურტანიძე. ფორუმის მიზანი იყო ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების პოლიტიკის და სტრატეგიის დაგეგმვასა და შემუშავებაში სოფლის მეურნეობის მხარდაჭ-

ნობი, არასამთავრობო ორგანიზაციები და საგანმანათლებლო ინსტიტუტები. ფორუმი თავისი მასშტაბით უნიკალური იყო და იგი მართლაც მნიშვნელოვანად შეუწყო ხელს ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების დონის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყო სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. ეს ყველაფერი კი საქართველოს მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი გახდება. ფორუმის ფარგლებში ასევე ჩატარდა სესიები,

თუ სათვეზე მეურნეობების მოწყობის შესახებ. შევეცდებით, მიღებული ცოდნა, ახალი ნოვატიები, გადავცეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ყველა დაინტერესებულ პირს, მათი დანერგვით კი, ვფიქრობთ ჩვენს მუნიციპალიტეტში მკვეთრად გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა და, რაც მთავარია, ამაღლდება ხარისხი, - დასძინა საუბრის ბოლოს ბატონმა ჯემალმა.

გ. მალრაძე

ლუკა მასხურაძე საქართველოს ჩემპიონია

27-28 თებერვალს ქ.თბილისში გაიმართა, საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, ჭიდაობა სამბოში.



სურვეთ წარმატებებს მომავალ ასპარეზობებში.

I - ადგილი 81კგ წონით კატეგორიაში დაიკავა და საქართველოს ჩემპიონი გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღზრდილი ლუკა მასხურაძე. ვულოცავთ ლუკას აღნიშნულ გამარჯვებას და ვუსაპარეზობებში.

ცხოვრების კიდევ ერთი გზაჯვარედინი

26 თებერვალს პოეზიის ქარი დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ძლიერი სინქარით ქროდა, ისევ ისე, როგორც 30 წლის წინ, როდესაც საქართველოს ეკა ბაქრაძის პოეტური დაბადება ეცნო. წლები გასულა... ეკას პოეზიას ასაკი არ აქვს, ისეთივე ფერადი და მუსიკალურია, როგორც ადრე, ბავშვობაში ნამდერი, სიწრფელით და სიკეთით. ამის მერე რაღა უნდა იყოსო, ამის მეტი რაღა უნდა ითქვასო, ფიქრობდნენ კრიტიკოსები, რომლებსაც პატარა ეკას ხელით ნაწერი რვეული ეჭირათ და შიშით გაჰყურებდნენ მომავალს, თითქოს დაკარგვა რომ ეწერა. არ დაიკარგა, ბავშვობამ არ დაისვენა ზრდასრულ ეკაში და მისი პოეზიის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, გახსენებისთვის, ახლისთვის, მომავლისთვის...

სადამო ეკა ბაქრაძემ გახსნა. მკითხელს (რომელიც ყველა საპატიოა მისთვის რეგალიების და სოციალური სტატუსების მიუხედავად) ჟურნალ "გზაჯვარედინის" დაარსების, განვითარების შესახებ ესაუბრა დამფუძნებლებთან მანანა დანგაძეს.

მზია ხეთაგურთან ერთად. ღექსით გაივსო დარბაზი. ეკას დასაწყისი გაიხსენეს, საქართველო რომ ალაპარაკა "თითისხელა" გოგომ. მუსიკა იყო, ქართული, ვაჟა აზარაშვილის და გენო ნადირაშვილის



სიმღერა. დედა-შვილური ღექსი გინახავთ?-გიორგის და ეკას ღექსით მოფერება ერქვა ამას. ელდინო სადარაძემ პოეზიის დელოფალა უწოდა ეკას წარმოსახვაში არსებულის განკაცება. სურვილები ბევრი და მრავალფერი-პოეტების, გამომცემლების, პოლიტიკოსების(პოლიტიკის გარეშე), მეგობრების სურვილები. დღე იყო, რომელიც დიდხანს ემასხოვრება ადამიანის პოეტურ მესხიერებას.

თ. ჭავჭავაძე

წარმატება ბულგარეთში

ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირიდან საქართველოს ნაკრები წარმატებული შედეგით დაბრუნდა, აღნიშნულ წარმატებაში თავის წვლილი შეიტანეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღზრდილებმა: I - ადგილი დავით ბუზიაშვილი 70 კგ. III - ადგილი გიორგი ხაჩიძე 50 კგ.



ბებს მენებს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს მომავალ შეჯიბრებებში.

წარმატებას და ვუსაპარეზობებში.

ცხადდება კონკურსი!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აცხადებს ლიტერატურული კონკურსს "წიგნიერი". კონკურსი უკვე მეორედ ცხადდება და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებს. კონკურსის მიზანია კითხვის პოპულარიზაცია და სკოლის მოსწავლეების წახალისება. კონკურსის პირობების თანახმად თითოეულმა მონაწილემ უნდა წაიკითხოს ჟურნალის მიერ დასახელებული სამი ავტორის თითო მითითებული ნაწარმოები. შემდეგ კონკურსანტები ამ ნაწარმოებების მიხედვით (თემის სათაურს ჟური დაასახელებს) დაწერენ ესსეს (დაახლოებით 600 სიტყვა), რომელიც შეფასდება ჟურნალის წევრების მიერ და გამოვლინდება სამი გამარჯვებული. გამარჯვებულები 23 აპრილს, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახეიმო დონისძიებაზე დასახელდებიან.

კონკურსში მონაწილეობისთვის საჭიროა: 20 მარტის ჩათვლით შეავსონ სარეგისტრაციო ბლანკი (დამატებითი კითხვებისთვის დაგვიკავშირდით, 032 2971618; mchkonია@nplg.gov.ge). ლიტერატურულ კონკურსს "წიგნიერი" წლებადგელმა მონაწილეებმა უნდა წაიკითხონ შემდეგი ნაწარმოებები: დენიელ კიხი - "ყვავილები ელჯერონისათვის", "ჯონ აბ-დაიკი" - "კენტაური", რეზო ინანიშვილი - "ცოდვა დიდისა". 8 აპრილს კონკურსანტები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაწერენ ესსეს ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებების თემატიკის გათვალისწინებით შედგენილი სათაურის მიხედვით. 23 აპრილს გამოვლინდებიან გამარჯვებულები და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგვიმელ სახეიმო დონისძიებაზე პრისებით დაჯილდოვდებიან.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.

საქართველოს გაგაცნობის

საქართველოს გაგაცნობის

საქართველოს გაგაცნობის

D ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30



დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ.

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცრებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს, სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.



საბჭოთა ჯავშირის 7 საოცრება:

1. ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი
2. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი არავინ არ მუშაობდა
3. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მუშაობდა გეგმა 100% სრულდებოდა
4. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100% სრულდებოდა, მაღაზიებში მაინც არაფერი არ იყო
5. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო მაინც ყველას ყველაფერი ჰქონდა
6. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა მაინც იპარავდნენ
7. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს იპარავდნენ მაინც ყველას ყველაფერი ყოფნიდა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

^D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.